

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ.-ის დეკანს
ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს
ამავე ფაკ.-ის არმენოლოგიის კათედრის
ასოც.პროფ.-ის ნათია ჩანტლაძის

განმარტება

გავეცანი მოწოდებულ დოკუმენტებს. რაც შეეხება სახელს - ზოგ დოკუმენტში ის წარმოდგენილია, როგორც ვარდანუშ, ზოგში - ვართანუშ. სომხური ენისათვის თანხმოდანთმონაცვლეობა დ-თ სავსებით მოსალოდნელია. იწერება ხოლმე -დ, მაგრამ გამოითქმის და შესაბამისად, ისმის -თ. ამგვარად, ეს ერთი და იგივე სახელია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ისე, როგორც იწერება - ვარდანუშ (სომხური მართლწერის მცოდნე პირის მიერ) და სხვა შემთხვევაში კი წარმოდგენილია ისე, როგორც ისმის - ვართანუშ (სავარაუდოდ, სომხური მართლწერის არმცოდნე პირის მიერ).

რაც შეეხება გვარს - ერთი და იგივე სომხური გვარი ხშირად შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს ორგვარად: რუსულ ყაიდაზე -ოვ-ი დაბოლოებით და სომხურ ყაიდაზე -იან(ც)-ი დაბოლოებით (ვფიქრობთ, თავად ამ გვარის მატარებელი პირის სურვილისამებრ. მაგ.: კაზარ-ოვ-ი - კაზარ-იან(ც)-ი). ამდენად, სარქისოვი-სარქისიანცი სავსებით შეაძლებელია, რომ ერთი და იმავე პიროვნების გვარის სხვადასხვა ყაიდაზე ჩაწერის შემთხვევა იყოს. აქვე ერთი განმარტებაც შემდეგ განსხვავებაზე: სარქისოვი -საქსიანცი. მოცემულ ლექსებში „ი“ ასო-ბგერის ყოფნა-არყოფნაც სომხური ენის თავისებურებებით არის განპირობებული. კუმშვის წესის თანახმად მახვილიან პოზიციაში არსებული „ი“ მახვილის დაკარგვის შემთხვევაში იკუმშება. მოცემული გვარი სარქისოვ-სარქსიანც მიღებულია საკუთარი სახელისგან სარქის/სარგის. მისგან რუსულ ყაიდაზე გვარის წარმოებისას ბოლო მარცვლისეულმა „ი“-მ მახვილი შეინარჩუნა და ამიტომ არ შეიკუმშა - სარქისოვ-ი, ხოლო სომხურ ყაიდაზე წარმოებისას მახვილი დაკარგა და ცხადია, შეიკუმშა-საქსიანცი-ი.

რაც შეეხება განსხვავებას ტერტეროვ-ი - ტერტეროვ-ი . ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გვარის მატარებელი პირის სქესის აღნიშვნასთან: რუსულ ენაში სქესის კატეგორია არსებობს, ხოლო ქართულსა და სომხურში - არა. ამიტომ რუსულ დოკუმენტში დაფიქსირებული მდედრობითი სქესის დაბოლოება ტერტეროვ-ი უბრალოდ, უცვლელად გადმოიტანეს ქართულ

დოკუმენტშიც, ეს „ა“ გვარის კუთვნილი ასო-ბგერა არ არის. ქართულ ენაში ეს გვარი არის - ტერტეროვ და დაემატება სათანადო ბრუნვის ნიშნები, მაგ. სახელობითში ეს იქნება „ი“ = ტერტეროვ-ი.

ფორმები ავეტიკ-ავეტის. ორივე მათგანი სიტყვა ავეტიქ//ավետիք (კარგი ამბავი, ხარება)-ის ვარიანტებია. ქ-კ ბგერათმონაცვლეობა ბუნებრივია სომხური ენისათვის, ავეტის ფორმა კი ავეტიკ-ის მრავლობითი რიცხვის ბრალდებითი ბრუნვის ფორმაა (ძველი სომხური ენის ნორმებით). ამგვარად, საკუთარ სახელად იქცა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმები და სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი ერთი და იმავე პირის მიმართ იხმარებოდეს. დაბოლოება ავეტიკ-ი ამ შემთხვევაშიც ქართული ენის ნორმების შესაბამისად სახელობითი ბრუნვის მაჩვენებელია. იგივე უნდა ითქვას ფორმებზე სარქისოვ- - სარქისოვ-ი.

გვარი ტერტეროვი გვხვდება სხვა ფორმითაც ტერ-ტეროვი. მისი ძირია სომხური სიტყვა ტერ//տեր (ნიშნავს უფალს, ან სასულიერო წოდების პირს მიანიშნებს, სომხურში ხშირად ის თავში ერთვოდა გვარებს, მაგ. ტერ-მოვსესიანი და სხვ.). ქართულში გადმოვიდა ფუძის გაორმაგებით „ტერტერა“ და მოგვიანებით იქცა გვარად. რიგ შემთხვევებში იწერება დეფისით და რიგ შემთხვევებში დეფისის გარეშე.

პატივისცემით,

20.04.2015